# მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
# (ინგლისურენოვანი)

2025

# სარჩევი

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ** ..... 3
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ..... 4

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2 საფოსტო ინდექსი: 0131**

**+995 32 2595006 contact@ibsu.edu.ge**

**საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში https://ibsu.edu.ge/ge/masters/**

# მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | არ ენიჭება |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 60 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) დაიშვება შესაბამისი საგნის (ინგლისური ენა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით და აპლიკანტი წერს ესეს ინგლისურ ენაზე სადაც უნდა ასახოს პროგრამაზე ჩარიცხვის მოტივაცია, დაასაბუთოს საკუთარი პროფესიული წინსვლისა და განვითარების საჭიროება და განსაზღვროს ამ მიზნის მიღწევის გზები. ესეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 20 და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი შეფასების 51%. ნაშრომები შეფასდება დარგის კომისიის სამი წევრის მიერ ქვემოთ მოცემული რუბრიკის მიხედვით:<br><br>**თემასთან შესაბამისობა:**<br>4 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა ორიგინალური ესე, რომელშიც<br>გზავნილი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ნაშრომი სრულად შეესაბამება დავალებას;<br>3 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა ესე, თუმცა ის ნაკლებად<br>ორიგინალურია და/ან რიგ შემთხვევებში სრულად არ შეესაბამება<br>დავალებას;<br>2 ქულა: აპლიკანტი გადმოსცემს მთავარ გზავნილს, თუმცა წარმოდგენილი ესე არ არის ორიგინალური და უმეტეს შემთხვევაში გზავნილი არ არის ნათლად გადმოცემული; |

| | |
|---|---|
| | 1 ქულა: აპლიკანტი ვერ ახერხებს მიზნის ნათლად ფორმულირებას და წარმოდგენილი ნაშრომი სუსტად პასუხობს წარმოდგენილ დავალებას.<br>**ორგანიზება და ლოგიკური თანმიმდევრობა:**<br>4 ქულა: აპლიკანტმა წარმატებით წარმოადგენა ზედმიწევნით ორგანიზებული სამოტივაციო ესე, რომელიც შედგება შესავლისაგან, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. თითოეულ განყოფილებაში (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) წარმოდგენილი ინფორმაცია სრულიად შეესაბამება დავალებას და თხრობაც ლოგიკური და თანმიმდევრულია;<br>3 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა ორგანიზებული სამოტივაციო ესე, რომელიც შედგება შესავლისაგან, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან, თუმცაღა ზოგიერთი აბზაცი არ არის თანმიმდევრული და გარკვეული მოსაზრებები არ არის ლოგიკურად ორგანიზებული;<br>2 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა სამოტივაციო ესე, თუმცაღა შესავალ ან ძირითად ნაწილში მოცემული აბზაცები ნათლად არ გადმოსცემენ მოსაზრებებს და არ არის ლოგიკურად ორგანიზებული. დასკვნაში სრულად არ არის შეჯამებული ესეში გადმოცემული ყველა ძირითადი გზავნილი;<br>1 ქულა: აპლიკანტმა ვერ წარმოადგინა ორგანიზებული სამოტივაციო ესე. მოსაზრებები არ არის ნათლად ფორმულირებული დ აარ არის ლოგიკური თანმიმდევრობა. ნაშრომი ვერ აკმაყოფილებს აკადემიური ნაშრომის მოთხოვნებს.<br>**გრამატიკა და სტილი:**<br>4 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა გრამატიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით ზედმიწევნით გამართული ნაშრომი, რომელიც სრულად პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს;<br>3 ქულა: აპლიკანტმა წარმოადგინა ნაშრომი, რომელშიც არის მცირე გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციის შეცდომები. ნაშრომი ნათლად გადმოსცემს აზრებს და პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს;<br>2 ქულა: აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გაპარულია გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციის შეცდომები, რომლებიც რიგ შემთხვევაში ხელს უშლიან აზრის გაგებას;<br>1 ქულა: აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მნიშვნელოვანი შეცდომებია გრამატიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით და უმეტეს შემთხვევაში ეს შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას<br>**ხედვა და სამოქმედო გეგმა:**<br>4 ქულა: აპლიკანტი ნათლად აყალიბებს საკუთარ ხედვასა და მოტივაციას, თუ რატომ უნდა ჩაერთოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში; ასევე ნათლად აყალიბებს, თუ როგორ შეუძლია საკუთარი გეგმების განხორციელება და როგორ დაეხმარება პროგრამა ამ გეგმების რეალიზებაში; |

| | |
|---|---|
| | 3 ქულა: აპლიკანტი აყალიბებს საკუთარ ხედვასა და მოტივაციას, თუ რატომ უნდა ჩაერთოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში; ასევე აყალიბებს, თუ როგორ შეუძლია საკუთარი გეგმების განხორციელება და როგორ დაეხმარება პროგრამა ამ გეგმის რეალიზებაში.;<br>2 ქულა: აპლიკანტი წარმოადგენს საკუთარ ხედვასა და/ან მოტივაციას, თუ რატომ უნდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა, თუმცაღა თხრობა ბუნდოვანია და ნათლად არ არის დასაბუთებული, თუ როგორ დაეხმარება პროგრამა მიზნების რეალიზებაში;<br>1 ქულა: აპლიკანტი ნათლად ვერ წარმოადგენს საკუთარ ხედვასა და სამოქმედო გეგმას, თუ როგორ დაეხმარება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საკუთარი მიზნების განხორციელებაში.<br>**კონკრეტული მაგალითები:**<br>4 ქულა: აპლიკანტი აღწერს შესაბამის გამოცდილებას, მაგალითებსა და შემთხვევებს, რომლებიც სრულად და ლოგიკურად ასაბუთებენ სამოტივაციო ესეში წარმოდგენილ არგუმენტებსა და მოსაზრებებს;<br>3 ქულა: აპლიკანტი აღწერს შესაბამის გამოცდილებას ან მაგალითებს ან შემთხვევებს, რომლებიც უმეტესწილად ასაბუთებენ სამოტივაციო ესეში წარმოდგენილ არგუმენტებსა და/ან მოსაზრებებს;<br>2 ქულა: აპლიკანტი უმეტესწილად ვერ ახერხებს შესაბამისი გამოცდილების, შემთხვევებისა და მაგალითების წარმოდგენას, რათა დაასაბუთოს სამოტივაციო ესეში წარმოდგენილი არგუმენტები და/ან მოსაზრებები;<br>1 ქულა: აპლიკანტი ვერ ახერხებს სათანადო არგუმენტების, გამოცდილებისა და/ან მაგალითების წარმოდგენას, რათა დაასაბუთოს სამოტივაციო ესეში წარმოდგენილი მოსაზრებები.<br>ნაშრომი შეფასდება 0-ით (ნულით), თუკი კანდიდატს არაფერი დაუწერია ან არ შეესაბამება მოცემულ დავალებას.<br>ზემოთ ხსენებული ჩარიცხვის წინაპირობების გარდა, 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებულია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე. პროგრამის აღების საშუალება ეძლევა ინგლისური ფილოლოგიის ნებისმიერ სტუდენტს სურვილის შემთხვევაში (თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში) თუ მას დაფარული აქვს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით. პროგრამის დასრულების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | 1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს დაწყებითი, საბაზო-/საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური მასწავლებელები, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ფართო ცოდნა და უნარ-ჩვევები; |

| | | |
|---|---|---|
| | 1.1. მასწავლებლებლები, რომელთაც შეუძლიათ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, დემოკრატიული, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს მათ წარმატებით დასაქმებას ადგილობრივ შრომის ბაზარზე და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. | |
| **სწავლის შედეგები** | **ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:** | |
| | **ცოდნა და გაცნობიერება:** | 1. აღწერს და განსაზღვრავს ფიზიკურად, სოციალურად და კოგნიტურად უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის სტრატეგიებს, რომლებიც შეესაბამება ბავშვის უფლებებს, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მათი მრავალფეროვანი განვითარების მიდგომებს, კლასის ეფექტურ მართვას, კონფლიქტების პრევენციას და მოგვარების ტექნიკას; მსჯელობს სასკოლო ცხოვრებაში მშობლისა და მეურვეების ჩართულობის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<br>2. იცნობს, განასხვავებს და კრიტიკულად იაზრებს პიროვნების განვითარების და განათლების ძირითად თეორიებს და თანამედროვე ტენდენციებს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ჩარჩო დოკუმენტს და სასწავლო გეგმას, მდგრადი განვითარების მიზნებს და პრინციპებს და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას როგორც მოსწავლესა და შედეგზე ორინეტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვისათვის ასევე პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში.<br>3. იცნობს და განასხვავებს სასწავლო პროცესში სწავლის უნივერსალური დიზაინის, მათ შორის დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს, კლასის მართვის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტურ სტრატეგიებს, კლასგარეშე საქმიანობის როლს და მნიშვნელობას მოსწავლეებისთვის მამოტივირებელი, კეთილგანწყობილი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; იცნობს და ასახელებს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ძირითად |

| | | |
|---|---|---|
| | | ფაქტორებს და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას საკუთარი და კოლეგების პროფესიული განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;<br>4. იცნობს, განმარტავს და განასხვავებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, შეფასების ტიპებს, პრინციპებსა და მეთოდებს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით რომელიც მოიაზრებს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება-შედგენას და ანალიზს.<br>5. ცნობს, განმარტავს და განასხვავებს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს, ფორმებს და გზებს; განათლების თანამედროვე ტენდენციებს და კვლევებს, კვლევის მეთოდოლოგიას და მეთოდებს, რომელიც აუცილებელია განათლების დარგში მცირე მასშტაბის კვლევის ჩასატარებლად; |
| | **უნარი:** | 6. იყენებს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიებს სწავლებისას; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტების და მოსწავლეების ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასწავლო გეგმას, გეგმავს გაკვეთილს და ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და საბაზისო აკადემიური და სოცილურ-ემოციური უნარების განვითარებას.<br>7. შეარჩევს და იყენებს სწავლა-სწავლების, კლასის მართვის მრავალფეროვან სტრატეგიებს, მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს მოსწავლეთა ასაკობრივი, ინდივიდუალური საჭიროებების (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ადგენს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს, კრიტიკულად აანალიზებს მათ შესაბამისი რეაგირებისთვის და ამყარებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან მათი პრევენციის და მოგვარების მიზნით; |

| | | |
|---|---|---|
| | | 8. შეარჩევს და მიზნობრივად იყენებს შეფასების მეთოდებს მოსწავლეების მიღწევების და პროგრესის შესაფასებლად; ადგენს შეფასების სქემებს და რუბრიკებს ობიექტური შეფასებისთვის, მოსწავლეების კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის; მოიძიებს, შეარჩევს, ქმნის და იყენებს დამხმარე რესურსებს, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტს ეროვნული სასწავლო გეგმის, მოსწავლეების საჭიროებების, ასაკის და გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით როგორც სწავლა-სწავლების ასევე შეფასების მიზნით;<br>9. მოიძიებს და იყენებს განათლების თანამედროვე კვლევებს და ტენდენციებს საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის, სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის და დარგში მცირე ნაშრომის შესაქმნელად; შესაბამისი მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის შედეგად ახდენს საკუთარი პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზს, სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას და განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას; |
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** | 10. აღიარებს და პრაქტიკაში იყენებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ქმნის ინკლუზიურ, უსაფრთხო და პოზიტიურ საგანმანათლებლო გარემოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;<br>11. ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე მტკიცებულებებზე დაფუძნებულიპრაქტიკის გამოყენებით; ავლენს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; აქტიურად ნერგავს სიახლეებს საკუთარ პედაგოგიურპრაქტიკაში და ავითარებს ლიდერულ უნარებს. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური | |

| | |
|---|---|
| | შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>1. (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>2. (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>3. (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>4. (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>5. (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>1. (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2. (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი საგნის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. |

| | |
|---|---|
| | შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით. |
| **დასაქმების სფერო** | პროგრამის გავლა ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს დასაქმდნენ:<br>● ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელად (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);<br>● არაფორმალური განათლების სექტორი; |

| # | კოდი | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | წინაპირობა | კრედიტების რაოდენობა | საათების განაწილება | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | I წელი | | საკონტაქტო საათები | | | | | მოეცავადმოსაზრებელი მოეცავობის საათები | სულ |
| | | | | | | I სემესტრი | II სემესტრი | ლექცია | სემინარი/ჯგუფური სამეცადინო | ლაბორატორიული გაკვეთილი(ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ | | |
| I | | **სავალდებულო კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1 | PTT001 | შესავალი განათლების მეცნიერებაში | სავალდებულო | N/A | 4 | **4** | | 25 | 15 | 2 | 2 | 46 | 54 | 100 |
| 2 | PTT002 | შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში | სავალდებულო | N/A | 5 | **5** | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 3 | PTT004 | კლასის მართვა | სავალდებულო | N/A | 4 | **4** | | 17 | 25 | 2 | 2 | 46 | 54 | 100 |
| 4 | PTT005 | შეფასების მეთოდები და პრინციპები | სავალდებულო | N/A | 4 | **4** | | 14 | 16 | 2 | 2 | 32 | 68 | 100 |
| 5 | PTT006 | ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები | სავალდებულო | N/A | 5 | **5** | | 22 | 20 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | PTT007 | განათლების ტექნოლოგიები და მასალების შემუშავება | სავალდებულო | N/A | 4 | **4** | | 15 | 27 | 2 | 2 | 46 | 54 | 100 |
| 7 | PTT011 | სასკოლო პრაქტიკა I | სავალდებულო | N/A | 5 | **5** | | 18 | 40 | 0 | 2 | 60 | 65 | 125 |
| 8 | PTT012 | სასკოლო პრაქტიკა II | სავალდებულო | სასკოლო პრაქტიკა I | 5 | | **5** | 18 | 40 | 0 | 2 | 60 | 65 | 125 |
| 9 | PTT003 | ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები | სავალდებულო | N/A | 4 | | **4** | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 68 | 100 |
| 10 | PTT008 | სასწავლო პროცესის დაგეგმვა (TKT) | სავალდებულო | ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და პრინციპები | 5 | | **5** | 16 | 26 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| 11 | PTT009 | კვლევის მეთოდები და ტენდენციები განათლებაში | სავალდებულო | N/A | 5 | | **5** | 22 | 20 | - | - | 42 | 83 | 125 |
| 12 | PTT010 | ინკლუზიური განათლება | სავალდებულო | შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში | 5 | | **5** | 26 | 16 | 2 | 2 | 46 | 79 | 125 |
| **II** | | **არჩევითი კურსები** | | | | | | | | | | | | |
| 1 | PTT013 | ფსიქოლოგიის საფუძვლები | არჩევითი | N/A | 5 | | **5** | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| 2 | PTT014 | ინტერკულტურული განათლება | არჩევითი | შესავალი განათლების | 5 | | **5** | 13 | 15 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მეცნიერებაში | | | | | | | | | | |
| 3 | PTT015 | შესავალი განათლების სოციოლოგიაში | არჩევითი | N/A | 5 | | **5** | 16 | 12 | 2 | 2 | 32 | 93 | 125 |
| **სულ** | | | | | **60** | **31** | **29** | **253** | **283** | **20** | **24** | **580** | **920** | **1750** |